ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

№20200709

27 ივლისი, 2020 წელი

საქართველოს პრემიერ-მინისტრს

ბატონ გიორგი გახარიას

მიმართვა

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) და საქართველოში საბჭოური პერიოდის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და თანადგომის საზოგადოება „მემორიალმა", ა/წ 24 ივნისს მოგმართათ წერილით (№20200608) რეპრესიების მსხვერპლთათვის თვეში 7 ლარიანი საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ზრდასთან დაკავშირებით. ჩვენ ვთვლით, რომ თვეში 7 ლარიანი საყოფაცხოვრებო სუბსიდია მხოლოდ სიმბოლურ ხასიათის მატარებლად შეიძლება ჩაითვალოს, რაც ნაკლებად კავშირშია რეპრესირებულების მინიმალური ფინანსური საჭიროების დაკმაყოფილებასთან. წერილში აღვნიშნეთ, რომ **პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთათვის განკუთვნილი 7 ლარიანი საყოფაცხოვრებო სუბსიდიის 44 ლარამდე გაზრდის შემთხვევაში (რითაც ის გაუთანაბრდება იმ საყოფაცხოვრებო სუბსიდიას, რომლითაც სარგებლობენ საქართველოში მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები, 9 აპრილის დარბევის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და სხვა), 2020 წლის მთლიანი ხარჯი განისაზღვრება დაახლოებით 2,3 მილიონი ლარით (ზრდა 1,45 მილიონი ლარი - იმ შემთხვევაში თუ გათვალისწინებული იქნება ზრდა სექტემბრის თვიდან), ხოლო 2021 წლის ხარჯი - 5 მილიონი ლარით (დაგეგმილთან შედარებით ზრდა 4,2 მილიონი ლარი).**

გარდა ამისა გაცნობეთ, რომ 2012 წლის სექტემბერში უშუალოდ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთათვის გათვალისწინებული სოციალური პაკეტით დახმარება მიიღო მხოლოდ 1,642 პირმა. მათი რიცხვი, 2020 წლის იანვრის მდგომარეობით 92%-ით შემცირდა (138 პირი). პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა უმრავლესობის სოციალური პაკეტით სარგებლობის მიღმა დარჩენა

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
მის.: ტ. შევჩენკოს ქ. N20, თბილისი 0108, საქართველო
ტელ.: +995 32 292 15 14 • info@idfi.ge

www.idfi.ge

განაპირობა დათქმამ, რომლის მიხედვით სახელმწიფო პენსიით და სოციალური პაკეტით ერთდროული სარგებლობა დაუშვებელია. შესაბამისად, საპენსიო ასაკის რეპრესირებულმა პირებმა არჩევანი უფრო მაღალ სარგებელზე, სახელმწიფო პენსიაზე გააკეთეს, ხოლო სოციალური პაკეტით მხოლოდ საპენსიო ასაკს მიუღწეველმა პირებმა ისარგებლეს. სოციალური პაკეტების შემთხვევაში, სახელმწიფომ ყველაზე დიდი თანხა - დაახლოებით 1,5 მილიონი ლარი დახარჯა 2014 წელს, ხოლო 2019 წელს მსგავსმა ხარჯებმა მხოლოდ 256,361 ლარი შეადგინა.

ზემოაღნიშნული ჩვენი წერილი, თქვენს მიერ ქვემდებარეობით გადაეგზავნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომლის ამა წლის 1 ივლისის პასუხის (№01/7411 - იხილეთ დანართი) თანახმად, *„იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება გადაწყვეტილება აღნიშნულ პირთათვის საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობის - 44 ლარამდე გაზრდის შესახებ, აღნიშნული გამოიწვევს საბიუჯეტო ასიგნებების მნიშვნელოვან მატებას, რაც არ არის გათვალისწინებული „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით ამ მიზნით განსაზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში"*. ასევე, სამინისტროს წერილში დაფიქსირებულია მოსაზრება, რომ *„ანალოგიური მოთხოვნა აქვთ საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებ სხვა კატეგორიებსაც (ქ. თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებულ პირებს, სამხედრო ძალების ვეტერანებს, ჩერნობილში ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის შშმ პირებს და სხვ), მხოლოდ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირთათვის საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობის გაზრდა, გამოიწვევს ზემოაღნიშნულ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა სამართლიან უკმაყოფილებას ანალოგიური შეღავათით სარგებლობის მოთხოვნით"*.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა სოციალური კატეგორიებისთვის დაწესებულ საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობებს შორის, ყველაზე დაბალი, 7 ლარიანი დახმარება (ჩერნობილის ბირთვული ობიექტის შემხებლობაში მყოფ პირებთან ერთად), სწორედ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირებისთვისაა გათვალისწინებული. 2019 წლის მდგომარეობით, თვეში 7 ლარიან საყოფაცხოვრებო სუბსიდიას, 10,159 პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი ბენეფიციარის გარდა, იღებს კიდევ 220 ბენეფიციარი.

აქვე გაცნობებთ, რომ რეპრესირებულთათვის თვეში 7 ლარიანი საყოფაცხოვრებო სუბსიდია განისაზღვრა 2012 წლის 1 სექტემბრიდან, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული სხვადასხვა ტიპის ფულადი გასაცემლები გაერთიანდა ერთიან საპენსიო/სოციალურ პაკეტში. ამ პერიოდამდე „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" კანონის მე-12 მუხლის ბ) პუნქტის თანახმად, რეპრესირებულები სარგებლობდნენ სხვა ტიპის საყოფაცხოვრებო შეღავათით: *„საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების (გათბობა, წყალი, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, გაზი და თბოენერგია, ტელეფონის საბონენტო გადასახადი) ფასდაკლებით სახელმწიფოს ხარჯზე – ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო დაწესებულება; ელექტროენერგიის უფასო მოხმარებით თვეში 30 კვტ სთ-ის ოდენობით, ხოლო ოჯახში*

ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას – 45 კვტ სთ-ის ოდენობით. საცხოვრებელი ფართობის ქირის შეღავათი უწესდება პირს, რომელიც ცხოვრობს სახელმწიფო ფონდის სახლში".
დღესდღეობით, ზემოაღნიშნულ პუნქტში მოყვანილი შეღავათებით სარგებლობა რეალურად თვეში 7 ლარზე გაცილებით მეტ თანხას საჭიროებს, შეღავათებმა განსაკუთრებით იკლო იმ ბენეფიციართათვის, რომლებიც ცხოვრობდნენ სახელმწიფო ფონდის სახლში. შესაბამისად, ჩვენ **თვლით, რომ საქართველოს მეშვიდე მოწვევის პარლამენტის მიერ 2012 წლის 1 სექტემბრიდან, სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული სხვადასხვა ტიპის ფულადი გასაცემლების გაერთიანებამ ერთიან საპენსიო/სოციალურ პაკეტში, რეპრესირებულთა მდგომარეობა გააუარესა.**

განმეორებით მოგმართავთ თხოვნით, კიდევ ერთხელ დაუთმოთ თქვენი ყურადღება რეპრესირებულთა საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ზრდის საკითხს. პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა საყოფაცხოვრებო სუბსიდი 7 ლარიდან 44 ლარამდე ზრდა იქნება საქართველოში პოლიტიკური რეპრესირების მსხვერპლი 10 ათასი მოქალაქისთვის მნიშვნელოვანი დახმარება და სახელმწიფოს მხრიდან მათი რეალური და არა სიმბოლური მხარდაჭერა.

IDFI და საზოგადოება „მემორიალი" მზად არიან გამოიყენონ თავისი რესურსი და დაგროვილი ცოდნა ამ პროცესში სახელმწიფოს მხარდასაჭერად და ღონისძიებების ეფექტურად განსახორციელებლად.

წინასწარ მადლობას გიხდით მხარდაჭერისთვის!

დანართი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი (№01/7411, 1 ივლისი 2020 წელი).

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) აღმასრულებელი დირექტორი

გურამ სოსელია

საზოგადოება „მემორიალი" თავმჯდომარე